თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N3

ქ. თელავი 2021 წლის 21 აპრილი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე შათირიშვილი**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ვასილ არაბული, გიორგი ჩაბრაშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, გურამი წულუკიძე, ლევან ლილუაშვილი, ალექსი ძულიაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე **დავით ღაღანიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **გიორგი თავბერიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი **ლევან ბერძენაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **ზურაბ ენუქიძე,** მოქალაქეები: **შიო გენგაშვილი, შოთა როსტომაშვილი.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ზურაბ ტერტერაშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ

მომხს. ა. შათირიშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის პროექტის განხილვის შესახებ:

- სოფელ რუისპირში მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი N53.11.38.390,
- სოფელ აკურაში მდებარე სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი N51.27.51.005,
- სოფელ აკურაში მდებარე სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი N51.27.51.006,
- ქ. თელავში ქართული უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი N53.20.40.398,
- ქ. თელავში სამხრეთით მდებარე სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი N53.19.31.406.

მომხს. ა. შათირიშვილი

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (საავადმყოფო საწოლები) შესაბამისი საჭიროების მქონე პირთათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. ა. შათირიშვილი

4. თელავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. ა. შათირიშვილი

მოისმინეს1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ზურაბ ტერტერაშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ

აზრი გამოთქვეს: გურამ წულუკიძემ აღნიშნა, რომ ზურაბ ტერტერაშვილის ოჯახს არ გააჩნია სხვა საცხოვრებელი, ამდენად მიზანშეწონილია მათზე

გადაცემული იქნას დროებით სარგებლობის უფლებით საცხოვრებელი სახლი.

გურამ წულუკიძის მოსაზრებას მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

გადაწყვიტეს: პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ზურაბ ტერტერაშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

მოისმინეს 2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის პროექტის განხილვის შესახებ:

- სოფელ რუისპირში მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი N53.11.38.390,
- სოფელ აკურაში მდებარე სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი N51.27.51.005,
- სოფელ აკურაში მდებარე სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი N51.27.51.006,
- ქ. თელავში ქართული უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი N53.20.40.398,
- ქ. თელავში სამხრეთით მდებარე სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი N53.19.31.406.

აზრი გამოთქვეს: **გიორგი თავბერიძემ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილია საპრივატიზაციო ნუსხაში შესატანად მიწის ნაკვეთები: სოფელ რუისპირში მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი N53.11.38.390, სოფელ აკურაში მდებარე სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი N51.27.51.005, სოფელ აკურაში მდებარე სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის

ნაკვეთი საკადასტრო კოდი N51.27.51.006, ქ. თელავში ქართული უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი N53.20.40.398 და ქ. თელავში სამხრეთით მდებარე სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი N53.19.31.406., გაყიდვის შედეგად მოხდება საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა.

ალექსანდრე შათირიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ნუსხაში შესატანად წარმოდგენილი 5 ნაკვეთიდან პირველი ოთხი იქნას გათვალისწინებული საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად, ხოლო ქ. თელავის სამხრეთით არსებული მიწის საკითხთან დაკავშირებით მოსმენილი იქნას დაინტერესებული პირების ინფორმაცია.

დაინტერესებულმა პირმა **შოთა როსტომაშვილმა** აღნიშნა, რომ ქ. თელავის სამხრეთით არსებულ 1316 კვ.მ. მიწაზე აქვთ გათვალისწინებული ტურისტული მნიშვნელობის 300 000 ლარის ღირებულების პროექტის განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს ცხენებისა და ველოსიპედების შეძენას, ნაკვეთზე შესაბამის ინფრასტრუქტურის მოწყობას, ცივ-გომბორის მთის კალთაზე საცხენოსნო და ველობილიკების მარშრუტების გაკეთებას, მოამზადებენ გიდებს და ტურისტებს შესთავაზებენ ტურებს.

ზურაბ ენუქიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ვინაიდან პროექტი არ არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების და მოითხოვს ინფრასტრუტურულ სამუშაოების განხორციელებას, აუცილებელია, რომ მიწას შეეცვალოს კატეგორია სასოფლო - არასასოფლო დანიშნულებაზე და მოხდეს მისი ღირებულების ახალი შეფასებით ნუსხაში შეტანა.

ლევან ბერძენაშვილმა აღნიშნა, რომ გასათვალისწინებელია მისასვლელი გზით და საპარკინგე ადგილისთვის სარგებლობის საკითხი და ასევე პროექტის ქალაქ თელავის განაშენიანების გეგმასთან შასაბამისობა.

ალექსანდრე შათირიშვილმა დააყენა წინადადება, რომ ქ. თელავის სამხრეთით არსებული მიწის საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანასთან დაკავშირებით, საკრებულოს ბიურის სხდომაზე განხილვისას

გათვალისწინებული იქნას კომისიის სხდომაზე დაყენებული წინადადებები.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის პროექტებიდან 5 მიწის ნაკვეთიდან ოთხი სრულად იქნას გათვალისწინებული, ხოლო ქ. თელავის სამხრეთით არსებული მიწის საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანასთან დაკავშირებით, საკრებულოს ბიურის სხდომაზე განხილვისას გათვალისწინებული იქნას კომისიის სხდომაზე გამოთქმული შენიშვნები.

მოისმინეს 3. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (საავადმყოფო საწოლები) შესაბამისი საჭიროების მქონე პირთათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: გიორგი თავბერიძემ აღნიშნა, რომ დაძმობილებულ ქალაქ ბიბერახმა დაგვასაჩუქრა საავადმყოფო საწოლებით, საჭიროა თანხმობა მათი მიზნობრივად განსაკარგავად.

ლევან ლილუაშვილმა დააყენა წინადადება პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

გადაწყვიტეს: პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (საავადმყოფო საწოლები) შესაბამისი საჭიროების მქონე პირთათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის

უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

მოისმინეს 4. თელავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: **გიორგი თავბერიძემ** აღნიშნა, რომ 2017-2020 წლების გეგმის ანალოგიურად დაიწერა წარმოდგენილი პროექტი და ასეთი გეგმა არის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა.

ალექსი ძულიაშვილმა აღნიშნა, რომ გეგმის ზოგიერთი მაჩვენებელი საჭიროებს განახლებას, რაც უნდა იქნას გათვალისწინებული.

ალექსანდრე შათირიშვილმა დააყენა წინადადება პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

გადაწყვიტეს: პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის შესახებ განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე შათირიშვილი